ASHENDI
Agro Georgia

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

შპს „აშენდი აგრო საქართველოს“ 2019 წლის 1 მარტიდან იჯარით აქვს აღებული უკვე აშენებული მეღორეობის ფერმის კომპლექსი. საქმიანობა (ღორების შეყვანა) კომპანიამ დაიწყო მაისის თვეში, ამჟამად საწარმოში არის 703 ღორი.

კომპანიამ მოაწყო სასაკლაო, რომელიც თავდაპირველად გათვლილი იყო 30 ცხოველზე ნაკლების დაკვლაზე, თუმცა საქმიანობის გაფართოების გამო დღეში დაიკვლება 30-ზე მეტი ცხოველი. წარმადობის გაზრდა მოხდება ინვენტარის და პერსონალის გაფართოების ხარჯზე. ახალი სამშენებლო სამუშაოები გაფართოების ფარგლებში არ იგეგმება.

კომპანიას დაგეგმილი აქვს უკვე არსებული ფერმის შენობებში ახალი სადგომების დამონტაჟება რომელიც გათვლილი იქნება 10600 ცხოველის ერთდროულად შენახვაზე (მაქსიმალური რაოდენობა რომელიც ერთდროულად შეიძლება იყოს ფერმაში). მაქსიმალური წარმადობისას მიღწევისას წელიწადში დაიკვლება 19,742 ღორი.

კომპანიას დაგეგმილი აქვს ცხოველური ნარჩენებისთვის 2 ინსინერატორის მოწყობა. ერთი ფერმაში მვდარი ცხოველების უსაფრთხოდ განადგურებისთვის, ხოლო მეორე სასაკლაოს ცხოველური ნარჩენების გასანადგურებლად. კომპანის გაგემავს ნაკელი დროებით შეინახოს საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ლაგუნაში, ხოლო მისი გაფანტვა მოახდინოს კომპანიის სარგებლობაში არსებულ სასოფლო სამეურნეო მიწებზე (გამოყენოს სასუქად).

აქედან გამომდინარე, კომპანია გეგმავს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I და II დანართის მიხედვით განსაზღვრული რამდენიმე საქმიანობის განხორციელებას:

- დანართი I. 24. მეღორეობის ფერმა (10 000-ზე მეტი სადგომით გოჭებისათვის (30 კილოგრამზე ნაკლები) ან/და 6000-ზე მეტი სადგომით ღორებისათვის (30 კილოგრამზე მეტი)).
- დანართი II. 7.6. ცხოველთა სასაკლაოს მოწყობა და ექსპლუატაცია, სადაც დღე-ღამეში 30 ან მეტი ცხოველი იკვლება;
- დანართი II. 10.2. ნარჩენების განთავსება; (ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი II-ის მიხედვით განთავსების ოპერაცია: D 10 მიწაზე ინსინერაცია);
- დანართი II. 10.3. ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა; (ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი I R 10 მიწის დამუშავება, რასაც სარგებელი მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის ან აუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას)

0119, Georgia, Tbilisi,
29 Nadira Khosharauli str.
N: 032 2 11-00-73
E: Info@ashendiagro.com
www.ashendiagro.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 14501
"10" 10 2019
02

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით (მუხლი 5, პუნქტი 14) თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია წარუდგინოს სამინისტროს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დაგეგმილი საქმიანობა მდებარეობს ერთ ტერიტორიაზე და ურთიერთდაკავშირებულია ფუნქციურად, აქედან გამომდინარე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით (მუხლი 5, პუნქტი 14) წარმოგიდგენთ ერთიან სკოპინგის ანგარიშს. გთხოვთ განიხილოთ და გასცეთ შესაბამისი დასკვნა.

ინფორმაციას წარდგენილი დოკუმენტაციის კონფიდენციალური ნაწილის შესახებ:

სკოპინგის ანგარიშზე დართული დანართები 4, 5 და 6 კონფიდენციალურია

დანართი 4. საწვავის მოწოდები შესახებ ხელშეკრულება - 13 გვ.

დანართი 5. იჯარის ხელშეკრულება შპს აშენდი ჯგუფს (ს/კ: 404950157) და შპს აშენდი აგრო საქართველოს (ს/ნ 402098699) შორის -34 გვ.

დანართი 6. სასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარის წინარე ხელშეკრულება - 1 გვ.

ანტონ ბოიკოვი ----------

შპს „აშენდი აგრო საქართველოს" დირექტორი

დანართები:

1. სკოპინგის ანგარიში 1 წიგნი, 111 გვ.
2. 1 (CD) დისკი (სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და shp-ფაილი.